საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №211
2016 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (შემდგომში – სასაზღვრო პოლიცია) თანამდებობრივი სარგოების ყოველთვიური განაკვეთები თანდართული დანართების შესაბამისად (დანართი №1-41; №43-53).

მუხლი 2

განისაზღვროს:

ა) სამინისტროს მოსამსახურეთა (გარდა სასაზღვრო პოლიციისა) წოდებრივი სარგოს ყოველთვიური განაკვეთები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №42);

ბ) სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა წოდებრივი სარგოს ყოველთვიური განაკვეთები, თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №54).

მუხლი 3

განისაზღვროს:

ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული პოლიციის ატაშეებისა და მეკავშირე ოფიცრების (გარდა სასაზღვრო პოლიციისა) გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური დანამატის ნორმები (დანართი №55);

ბ) უცხო სახელმწიფოსა და საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცრის გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურების, სამედიცინო დაზღვევისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური დანამატის ნორმები (დანართი №56);

გ) სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სხვა დანამატები (დანართი №57).

მუხლი 4

სამინისტროს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეთა (გარდა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა) ყოველთვიური ფულადი სარგო განისაზღვროს 8 (რვა) ლარის ოდენობით, ხოლო სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა – 23 (ოცდასამი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5

სამინისტროს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებს ყოველთვიურად დაუწესდეთ ფულად სარგოზე შემდეგი ოდენობის დანამატი:

ა) 25 ლარი – სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის II სამმართველოს III განყოფილების III ქვეგანყოფილების სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებს;

ბ) 9 ლარი – სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებს, გარდა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის II სამმართველოს III განყოფილების III ქვეგანყოფილების სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებისა.

მუხლი 6

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში მივლენილ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი სარგოს გაცემის წესი და ოდენობა განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7

1. დაუწესდეს სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეს (გარდა სასაზღვრო პოლიციისა) სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ფულად სარგოზე (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები) ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;

ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;

გ) 5-დან 10 წლამდე – 15%;

დ) 10 წელი და მეტი – 20%.

2. დაუწესდეს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ფულად სარგოზე (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები) ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;

ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;

გ) 5-დან 10 წლამდე – 15%;

დ) 10-დან 15 წლამდე – 20%;

ე) 15 წელი და მეტი – 25%.

3. საჯარო მოხელესა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო პირს, რომელსაც უკავია შტატით გათვალისწინებული თანამდებობა და არ გააჩნია წოდება, სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მინიჭების შემთხვევაში, ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატის დაანგარიშებისას, განსაკუთრებულ შემთხვევებში მინისტრის თანხმობით, ნამსახურობაში ჩაეთვლება სამინისტროს სისტემაში წოდების გარეშე მუშაობის პერიოდი.

4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების, სასაზღვრო პოლიციის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა წელთა ნამსახურობის დანამატისთვის წელთა ნამსახურობაში ჩაითვალოს სამხედრო ან/და სპეციალური წოდებით ნამსახურები პერიოდი სამხედრო ან/და სპეციალური წოდებით სწავლის პერიოდის ჩათვლით.

მუხლი 8

1. სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია, ცნობა ან წელთა ნამსახურობის შესახებ ამონაწერი წარუდგინოს სამინისტროს შესაბამის საფინანსო სამსახურს.
2. სამინისტროს შესაბამისმა საფინანსო სამსახურებმა ნამსახურები წლების დანამატის დარიცხვა განახორციელონ შესაბამისი ცნობის (ამონაწერი) წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მუხლი 9

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის №804 ბრძანება.

მუხლი 10

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით ვარდიაშვილი

დანართი №1

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) (სამობილიზაციო სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
ადმინისტრაციის უფროსი (დეპარტამენტის დირექტორი)	2705
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, მინისტრის მრჩეველი	2000
განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1210
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №2

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) სამობილიზაციო სამმართველო

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სამმართველოს უფროსი	1885
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1645
განყოფილების უფროსი	1185
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1035
უფროსი ინსპექტორი	960
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	895

დანართი №3

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №4

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის უფროსი	2705
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამსახურის უფროსი	2000
განყოფილების უფროსი	1295
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №5

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115

სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე	1295
რეგიონალური განყოფილების უფროსი	1250
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1210
უფროსი ინსპექტორი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	820

დანართი №6

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115
მთავარი სპეციალისტი	1500
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №7

გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
გენერალური ინსპექციის უფროსი (დეპარტამენტის დირექტორი)	2705
გენერალური ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილე (დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე)	2610
გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი	2500
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235

სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2100
სამსახურის უფროსის მოადგილე	1830
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	1675
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1630
უფროსი ინსპექტორი	1500
მთავარი სპეციალისტი	1240
წამყვანი სპეციალისტი	1185

დანართი №8

ეკონომიკური დეპარტამენტი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე	1210
მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950
სპეციალისტი	775

დანართი №9

ლოჯისტიკის დეპარტამენტი (შეიარაღების სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამსახურის უფროსი	2000
განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე	1210
ქვეგანყოფილების უფროსი	1085
მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
სპეციალისტი	775

დანართი №10

ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2065
განყოფილების უფროსი	1630
განყოფილების უფროსის მოადგილე	1355
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1350
მთავარი სპეციალისტი	1255
წამყვანი სპეციალისტი	1185

დანართი №11

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი (III სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540

სამმართველოს უფროსი	2115
განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე	1210
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1085
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
სპეციალისტი	775

დანართი №12

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის III სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1255
უფროსი ინსპექტორი	1020

დანართი №13

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

(რეგიონალური დანაყოფების გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2270
სამმართველოს უფროსი	2150
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1845
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1345
განყოფილების უფროსის მოადგილე	1255

ქვეგანყოფილების უფროსი, მთავარი ექსპერტი	1220
უფროსი ექსპერტი, მთავარი სპეციალისტი	1175
ექსპერტი, ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1040
სპეციალისტი	1010

დანართი №14

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის რეგიონალური დანაყოფები

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამსახურის უფროსი	1835
სამსახურის უფროსის მოადგილე	1305
მთავარი ექსპერტი	1220
უფროსი ექსპერტი	1155
ექსპერტი, წამყვანი სპეციალისტი	1005

დანართი №15

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი (საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ანალიზის მთავარი სამმართველოსა და ოპერატიული საქმიანობის ანალიზის სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე	2610
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
ცენტრის (მთავარი სამმართველოს) უფროსი	2530
ცენტრის (მთავარი სამმართველოს) უფროსის მოადგილე	2445
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1295

განყოფილების უფროსის მოადგილე	1210
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1085
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №16

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ანალიზის მთავარი სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	2530
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2500
სამმართველოს უფროსი	2450
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2400
განყოფილების უფროსი	2365
განყოფილების უფროსის მოადგილე	2300
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	2275
უფროსი ინსპექტორი	1020

დანართი №17

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ოპერატიული საქმიანობის ანალიზის სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2530
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2485
განყოფილების უფროსი	2445
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	2295

დანართი №18

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი (საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის

(მთავარი სამმართველო) და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი	2355
სამმართველოს უფროსი, სამხარეო სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსი-გამომძიებელი	1500
დეტექტივი-გამომძიებელი	1400
განყოფილების უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსის მოადგილე-გამომძიებელი	1380
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1325
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1040
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	965
სპეციალისტი	790

დანართი №19

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრი (მთავარი სამმართველო)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
მთავარი სამმართველოს უფროსი	2535
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2485
სამმართველოს უფროსი	2330
განყოფილების უფროსი	1500
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1250

დანართი №20

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველო (უზრუნველყოფის განყოფილებისა და სამორიგეო ქვეგანყოფილების გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სამმართველოს უფროსი	2540
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2065
განყოფილების უფროსი	1830
განყოფილების უფროსის მოადგილე	1555
უფროსი მოიერიშე	1465
მოიერიშე	1430

დანართი №21

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს უზრუნველყოფის განყოფილება და სამორიგეო ქვეგანყოფილება

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
განყოფილების უფროსი	1620
განყოფილების უფროსის მოადგილე	1355
ქვეგანყოფილების უფროსი	1315
მთავარი სპეციალისტი	1250
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1185
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	810

დანართი №22

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსა და ადგილობრივი (რეგიონული) დანაყოფების გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2150
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1845

განყოფილების უფროსი	1380
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1255
ქვეგანყოფილების უფროსი	1220
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1190
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1130
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	1020

დანართი №23

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2270
სამმართველოს უფროსი	2150
სამმართველოს უფროსის მოადგილე, ასეულის მეთაური, სამსახურის უფროსი	1845
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, ოცეულის მეთაური, ცვლის უფროსი	1345
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	1300
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1255
უფროსი გამომძიებელი	1250
ათეულის მეთაური	1220
უფროსი ინსპექტორი	1175
გამომძიებელი	1200
პატრულ-ინსპექტორი, პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-ოპერატორი, მესაზღვრე-კონტროლიორი)	1165
ინსპექტორი	1040
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	1010

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადგილობრივი (რეგიონალური) დანაყოფები

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
მთავარი სამმართველოს უფროსი	2375
სამმართველოს უფროსი	2140
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1835
საქალაქო საპატრულო განყოფილების უფროსი; სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების უფროსი; სარკინიგზო კონტროლის განყოფილების უფროსი	1600
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, ოცეულის მეთაური, ცვლის უფროსი	1305
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1255
უფროსი გამომძიებელი	1210
ათეულის მეთაური	1200
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1155
გამომძიებელი	1135
პატრულ-ინსპექტორი, პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-ოპერატორი, მესაზღვრე-კონტროლიორი)	1130
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1005
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	820

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო (დეპარტამენტი)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115

განყოფილების უფროსი	1295
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №26

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი (შტაბის (მთავარი სამმართველო), საშტაბო სამსახურებში შემავალი განყოფილებებისა და სამედიცინო სამსახურისა და საბრძოლო მომზადების და გადამზადების სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – შტაბის უფროსი (მთავარი სამმართველოს უფროსი)	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე	1595
განყოფილების უფროსი, ასეულის მეთაური	1355
განყოფილების უფროსის მოადგილე, ასეულის მეთაურის მოადგილე	1190
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1095
ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, ინსტრუქტორი	1090
ოცეულის მეთაური, უფროსი ინსპექტორი, გამნაღმველი	1085
ოცეულის მეთაურის მოადგილე, ათეულის მეთაური, ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1055
ასეულის სერჟანტი	1050
ათეულის მეთაურის მოადგილე, უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი, სერჟანტი, მებრძოლი	1040

დანართი №27

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შტაბი (მთავარი სამმართველო), საშტაბო სამსახურებში შემავალი განყოფილებები და სამედიცინო სამსახური

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**

შტაბის უფროსის მოადგილე (მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე)	2200
სამმართველოს უფროსი	1995
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1895
სამსახურის უფროსის მოადგილე	1495
განყოფილების უფროსი	1210
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1055
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	995
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	930
სპეციალისტი	855

დანართი №28

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების და გადამზადების სამმართველო (საბრძოლო მომზადების და დაგეგმარების განყოფილების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ქვეგანყოფილების გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2540
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2065
განყოფილების უფროსი	1830
განყოფილების უფროსის მოადგილე	1555
ქვეგანყოფილების უფროსი, უფროსი ინსტრუქტორი	1505
ინსტრუქტორი	1465
წამყვანი სპეციალისტი	1215
სპეციალისტი	825

დანართი №29

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების და გადამზადების სამმართველოს საბრძოლო მომზადების და დაგეგმარების განყოფილების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ქვეგანყოფილება

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
ქვეგანყოფილების უფროსი	1315
ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე	1290
წამყვანი სპეციალისტი	1185
სპეციალისტი	810

დანართი №30

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი (სწრაფი რეაგირების სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი, რეგიონალური სამმართველოს უფროსი	1895
სამმართველოს უფროსის მოადგილე, რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1700
განყოფილების უფროსი, რეგიონალური განყოფილების უფროსი	1500
განყოფილების უფროსის მოადგილე, რეგიონალური განყოფილების უფროსის მოადგილე	1295
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1150
უფროსი ოფიცერი, უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1055
ოფიცერი, ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1025
მებრძოლი	995
სპეციალისტი	925
დამხმარე მოსამსახურე (ტექნიკოსი, მზარეული)	540
დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი, მუშა-ხელოსანი)	385

დანართი №31

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამმართველო

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სამმართველოს უფროსი	2000
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1800
განყოფილების უფროსი	1550
ქვეგანყოფილების უფროსი	1300
უფროსი ოფიცერი	1200
ოფიცერი	1150

დანართი №32

ობიექტების დაცვის დეპარტამენტი (პირადი დაცვის სპეციალური სამმართველოს

(IV განყოფილების გარდა) გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1510
განყოფილების უფროსის მოადგილე	1325
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, უფროსი ინსტრუქტორი	1305
ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, ინსტრუქტორი	1280
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1215
ოფიცერი, ცვლის უფროსი, ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1140
დაცვის თანამშრომელი, სპეციალისტი	835

დანართი №33

ობიექტების დაცვის დეპარტამენტის პირადი დაცვის სპეციალური სამმართველო

(IV განყოფილების გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სამმართველოს უფროსი	2540
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2065
განყოფილების უფროსი	1830
განყოფილების უფროსის მოადგილე	1555
უფროსი ოფიცერი	1465
ოფიცერი	1215

დანართი №34

კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1295
მთავარი სპეციალისტი	1020

დანართი №35

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540

სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1295
მთავარი სპეციალისტი	1020

დანართი №36

ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი	2355
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1500
განყოფილების უფროსის მოადგილე	1230
ქვეგანყოფილების უფროსი	1105
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1040
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	965
სპეციალისტი	790
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	545

დანართი №37

მიგრაციის დეპარტამენტი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1295
ცვლის უფროსი	1210
მთავარი სპეციალისტი, უფროსი ინსპექტორი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
სპეციალისტი	775

დანართი №38

ტერიტორიული ორგანოები (ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციის (სამმართველოს) უფროსის, საერთო განყოფილების, კანცელარიის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილებისა და კინოლოგიის ჯგუფის გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2495
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2070
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსი	1875
სამმართველოს უფროსი	1675
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსის მოადგილე	1250
განყოფილების უფროსი (დეტექტივ-გამომძიებელი)	1240
განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივ-გამომძიებელი)	1230
დეტექტივ-გამომძიებელი	1220
განყოფილების უფროსი-გამომძიებელი	1200
განყოფილების უფროსის მოადგილე-გამომძიებელი	1150
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1115

უბნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი	1025
მთავარი სპეციალისტი (დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე)	855
უბნის ინსპექტორი-გამომძიებელი	950
უბნის უმცროსი ინსპექტორი	785

დანართი №39

ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გარდა) ადმინისტრაციის (სამმართველოს) უფროსი, საერთო განყოფილება, კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება და კინოლოგიის ჯგუფი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	1675
განყოფილების უფროსი	965
განყოფილების უფროსის მოადგილე	910
მთავარი სპეციალისტი	785
წამყვანი სპეციალისტი	745
სპეციალისტი	710
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი, ტექნიკოსი, მზარეული)	500
დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი, მუშა-ხელოსანი)	350

დანართი №40

ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი (ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) (ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების გარდა), ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოსა და რაიონული სამმართველოების საერთო განყოფილებებისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფის ჯგუფების (კანცელარია) გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი (რაიონული), სამმართველოს უფროსი	2185

სამმართველოს უფროსის მოადგილე (რაიონული), სამმართველოს უფროსის მოადგილე	1725
განყოფილების უფროსი (დეტექტივ-გამომძიებელი), განყოფილების უფროსი-გამომძიებელი, განყოფილების უფროსი	1665
განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივ-გამომძიებელი)	1455
დეტექტივ-გამომძიებელი	1400
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1305
უბნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი	1280
უბნის ინსპექტორი-გამომძიებელი	1215
უფროსი ინსპექტორი	1130
უბნის უმცროსი ინსპექტორი	945

დანართი №41

ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაცია (სამმართველო) (ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების გარდა), ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო და რაიონული სამმართველოების საერთო განყოფილებები და საქმისწარმოების უზრუნველყოფის ჯგუფები (კანცელარია)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2185
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1725
სამსახურის უფროსის მოადგილე	1295
განყოფილების უფროსი	1235
განყოფილების უფროსის მოადგილე	1130
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1085
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1010
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	775

დამხმარე მოსამსახურე (მუშა-ხელოსანი)	350

დანართი №42

სამინისტროს მოსამსახურეთა (გარდა სასაზღვრო პოლიციისა) წოდებრივი სარგოს ყოველთვიური განაკვეთები

	სამხედრო ან სპეციალური წოდება	**წოდებრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
1	გენერალ-პოლკოვნიკი	120
2	გენერალ-ლეიტენანტი	110
3	გენერალ-მაიორი	100
4	ბრიგადის გენერალი	80
5	პოლკოვნიკი	70
6	ვიცე-პოლკოვნიკი	60
7	მაიორი	50
8	კაპიტანი	40
9	უფროსი ლეიტენანტი	30
10	ლეიტენანტი	25
11	უმცროსი ლეიტენანტი	20
12	სერჟანტ-ლეიტენანტი	15
13	მთავარი სერჟანტი	11
14	ბრიგადის სერჟანტი	10
15	ბატალიონის სერჟანტი	9
16	მასტერ სერჟანტი, ზემდეგი	7
17	უფროსი სერჟანტი	6
18	სერჟანტი	5
19	უმცროსი სერჟანტი	4
20	კაპრალი, პოლიციის რიგითი	3

სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო), საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო, სასაზღვრო მონიტორინგის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების სამმართველო

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე	2705
სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი	2705
სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი	2705
ადმინისტრაციის უფროსი (მთავარი სამმართველოს უფროსი)	2545
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე (მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე)	2235
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (მრჩეველი)	1900
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1290
განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (სასაზღვრო პოლიციის უფროსის თანაშემწე)	1205
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	945
სპეციალისტი	820

სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო (გარდა აღმოსავლეთის და დასავლეთის რეგიონული ოპერატიული სამმართველოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის, ანალიზის და კოორდინაციის სამმართველოს რეგიონული სამსახურის რეგიონული ჯგუფებისა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)

მთავარი სამმართველოს უფროსი	2545
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსი - გამომძიებელი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსი-გამომძიებელი	2000
განყოფილების უფროსი	1290
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	1205
უფროსი ინსპექტორი, უფროსი გამომძიებელი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი, გამომძიებელი	945

დანართი №45

სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის რეგიონული ოპერატიული სამმართველოები და საინფორმაციო უზრუნველყოფის, ანალიზის და კოორდინაციის სამმართველოს რეგიონული სამსახურის რეგიონული ჯგუფები

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1875
განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე	1195
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	950
უფროსი ინსპექტორი	900
ინსპექტორი	860

დანართი №46

სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული ქვედანაყოფების (სამმართველოების) გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2560
სამმართველოს უფროსი	2115

სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი	1290
განყოფილების უფროსის მოადგილე	1205
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1080
მთავარი სპეციალისტი	1010
წამყვანი სპეციალისტი, ინსპექტორი	945

დანართი №47

სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული ქვედანაყოფები (სამმართველოები) (მობილური ოცეულების (ჯგუფი), სასაზღვრო სექტორების, დროებითი პოსტების, საქმისწარმოების ჯგუფების (განყოფილება), საკადრო უზრუნველყოფის ჯგუფების (განყოფილება), უზრუნველყოფის ჯგუფების (განყოფილება), საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილებებისა და დაცვის ქვეგანყოფილებების გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი** **(ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1875
განყოფილების უფროსი	1235
ქვეგანყოფილების უფროსი	1195
მთავარი სპეციალისტი	920
წამყვანი სპეციალისტი	885
სპეციალისტი	845

დანართი №48

სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული ქვედანაყოფების (სამმართველოები) მობილური ოცეულები (ჯგუფი), სასაზღვრო სექტორები და დროებითი პოსტები

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი** **(ლარი)**
სექტორის უფროსი	1450
სექტორის უფროსის მოადგილე	1385
ოცეულის მეთაური, უფროსი ინსპექტორი	1070

ოცეულის მეთაურის მოადგილე, ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	1035
სპეციალისტი (უფროსი მესაზღვრე)	1005
სპეციალისტი, უმცროსი ინსპექტორი	1000
დამხმარე მოსამსახურე (ტექნიკოსი, ელექტრიკოსი, მეჯინიბე)	565

დანართი №49

სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონალური ქვედანაყოფების (სამმართველოების) საქმისწარმოების ჯგუფები (განყოფილება), საკადრო უზრუნველყოფის ჯგუფები (განყოფილება), უზრუნველყოფის ჯგუფები (განყოფილება) (სექტორის უზრუნველყოფის ჯგუფების გარდა), საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილებები და დაცვის ქვეგანყოფილებები

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
განყოფილების უფროსი	1130
ქვეგანყოფილების უფროსი	975
მთავარი სპეციალისტი	855
წამყვანი სპეციალისტი	820
სპეციალისტი, უმცროსი ინსპექტორი	775
დამხმარე მოსამსახურე (ტექნიკოსი, მზარეული)	565

დანართი №50

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი (სანაპირო დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფის სამმართველოს, ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს და საკადრო უზრუნველყოფის განყოფილების აბორდაჟის ინსტრუქტორთა ჯგუფის გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2560
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	1875
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (მრჩეველი)	1080
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1005

განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი	950
ინსპექტორი	860
მთავარი სპეციალისტი	820
წამყვანი სპეციალისტი	785
სპეციალისტი	750

დანართი №51

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფის სამმართველო, ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველო და საკადრო უზრუნველყოფის განყოფილების აბორდაჟის ინსტრუქტორთა ჯგუფი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	2545
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, ხომალდის მეთაური	1875
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, ხომალდის მეთაურის თანაშემწე, კატარღის მეთაური	1235
განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი, კატარღის მეთაურის თანაშემწე, სადგურის უფროსი	1195
სადგურის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი	900
წამყვანი სპეციალისტი, მცირე კატარღის მეთაური	860
სპეციალისტი	820

დანართი №52

სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	2545
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235

სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1235
მთავარი სპეციალისტი, უფროსი ოფიცერი	1010
წამყვანი სპეციალისტი, ოფიცერი	945
სპეციალისტი	770

დანართი №53

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	2545
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2235
ესკადრილიის მეთაური, ცენტრის უფროსი	2000
ესკადრილიის მეთაურის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1235
განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი	1130
მთავარი სპეციალისტი	1010
წამყვანი სპეციალისტი	945
სპეციალისტი	770

დანართი №54

სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა წოდებრივი სარგოს ყოველთვიური განაკვეთები

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური წოდება	**წოდებრივი სარგოს ყოველთვიური განაკვეთი (ლარი)**
გენერალ-ლეიტენანტი	110
გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი	100
პოლკოვნიკი, I რანგის კაპიტანი	70

ვიცე-პოლკოვნიკი, II რანგის კაპიტანი	60
მაიორი, III რანგის კაპიტანი	50
კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი	40
უფროსი ლეიტენანტი	30
ლეიტენანტი	25
უმცროსი ლეიტენანტი	20
მასტერ-სერჟანტი, მასტერ-მიჩმანი	7
უფროსი სერჟანტი, უფროსი მიჩმანი	6
სერჟანტი, მიჩმანი	5
უმცროსი სერჟანტი, უმცროსი მიჩმანი	4
კაპრალი, საზღვაო კაპრალი	3

დანართი №55

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული პოლიციის ატაშეებისა და მეკავშირე ოფიცრების (გარდა სასაზღვრო პოლიციისა) გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური დანამატის ნორმები

№	დასახელება	უცხოური ვალუტის დასახელება	ხარჯის დასახელება				
			ანაზღაურების ნორმები	სამედიცინო დაზღვევა	განთავსების ხარჯი	შენახვის ხარჯის ნორმები	სულ:
1	პოლიციის ატაშე ავსტრიის რესპუბლიკაში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813
2	პოლიციის ატაშე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში	აშშ დოლარი	1 650	438	1 250	100	3 438
3	პოლიციის ატაშე ბელორუსის რესპუბლიკაში	აშშ დოლარი	2 050	438	1 250	200	3 938
4	პოლიციის ატაშე ესპანეთის სამეფოში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813
5	პოლიციის ატაშე თურქეთის რესპუბლიკაში	ევრო	2 250	438	1 500	250	4 438
6	პოლიციის ატაშე უკრაინაში	აშშ დოლარი	2 050	438	1 500	200	4 188

7	პოლიციის ატაშე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813
8	პოლიციის ატაშე საფრანგეთის რესპუბლიკაში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813
9	პოლიციის ატაშე სომხეთის რესპუბლიკაში	აშშ დოლარი	1 650	438	1 250	100	3 438
10	პოლიციის ატაშე საბერძნეთის რესპუბლიკაში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813
11	პოლიციის ატაშე პოლონეთის რესპუბლიკაში	ევრო	2 550	438	1 500	325	4 813

შენიშვნა:

ამ დანართით განსაზღვრული გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების დანამატი ანაზღაურდება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იმ საბანკო დაწესებულების ანგარიშზე, რომლის მონაცემებიც იქნება მიწოდებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის.

1. სამედიცინო დაზღვევის ხარჯები

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პოლიციის ატაშეს, მეკავშირე ოფიცრის მიერ სამედიცინო დაზღვევის ანაზღაურებისათვის სავალდებულოა სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების დამადასტურებელი ორიგინალი და ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარმოდგენა, დაზღვევის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთის (ქვითარი ან/და საბანკო ამონაწერი) წარმოდგენა ყოველკვარტალურად. ზემოაღნიშნული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ამ დანართით გათვალისწინებული ოდენობისა.

2. განთავსების ხარჯები

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში განთავსების ხარჯის ანაზღაურებისათვის სავალდებულოა ბინის ქირავნობის დამადასტურებელი ორიგინალი და ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარმოდგენა და ბინის ქირის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთის (ქვითარი ან/და საბანკო ამონაწერი) წარმოდგენა ყოველკვარტალურად.

ზემოაღნიშნული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ამ დანართით გათვალისწინებული ოდენობისა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პოლიციის ატაშეს, მეკავშირე ოფიცრის ვადამდე გამოწვევის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადამდე გამოწვევასთან ერთად ხდება მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება/დათხოვნა პირადი განცხადების, დისციპლინური გადაცდომის ან შეუსაბამობის გამო) ბინის ქირავნობის ვადამდე შეწყვეტის გამო ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი ჯარიმის/საურავის (სხვა სახის პასუხისმგებლობის ზომა) ოდენობა და ამ თანხების გადახდის წინაპირობები.

3. შენახვის ხარჯები

შენახვის ხარჯების ნორმა მოიცავს ოფისის მოწყობისათვის საჭირო ინვენტარისა და სხვადასხვა მოწყობილობის (საკომუნიკაციო) ექსპლუატაციის ხარჯებს.

4. მოკლევადიანი მივლინება

მოკლევადიანი სამსახურებრივი მივლინება ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ წინასწარ უნდა ეცნობოს კოორდინატორ სტრუქტურულ ერთეულს. შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში პოლიციის ატაშეს, მეკავშირე ოფიცერს აუნაზღაურდება მგზავრობისა (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი) და განთავსების ხარჯები. მგზავრობის ხარჯი ანაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, ხოლო განთავსების ხარჯი ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კუთვნილი შვებულება

წელიწადში ერთხელ კუთვნილი შვებულების მგზავრობის ხარჯებს (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად) პოლიციის ატაშეს, მეკავშირე ოფიცერსა და მათი ოჯახის წევრებს სამინისტრო აუნაზღაურებს მხოლოდ საქართველოს მიმართულებით და უკან, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

6. დამატებითი ხარჯი

1. დასაბუთებული მოთხოვნებისა და კოორდინატორი სტრუქტურული ერთეულის შუამდგომლობით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე:

ა) ხორციელდება საოფისე ინვენტარის, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, ასევე აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების დასაზღვევად და საბურავების შესაძენად დამატებითი თანხების გამოყოფა;

ბ) აგრეთვე საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელების დადასტურება ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით.

7. როტაციის წესით სამუშაო მივლინებისას პოლიციის ატაშესა და მეკავშირე ოფიცერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე უნაზღაურდება პირველადი მოწყობის ხარჯები, რომელიც მოიცავს:

ა) ბინის დაქირავებამდე გასაწევ ხარჯებს (სასტუმრო და სხვა ხარჯები, არაუმეტეს 10 დღისა) – ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ბინის დაქირავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს: 1. მაკლერის და სხვა შესაბამისი ხარჯები, რომელიც ანაზღაურდება გადახდის დამადასტურებელი ორიგინალი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში; 2. ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ბინის დეპოზიტის თანხა, რომლის გადახდისა და დამქირავებლისთვის უკან დაბრუნების წინაპირობები გათვალისწინებულია წარმოდგენილი ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით;

გ) სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, როტაციასთან დაკავშირებული პირველადი მოწყობის ხარჯები (საოფისე ინვენტარისა და სხვა შესაბამისი ხარჯი), ანაზღაურდება სამინისტროს მიერ წინასწარ, რომლის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის პოლიციის ატაშე ან/და მეკავშირე ოფიცერი ახორციელებს საჭირო შესყიდული საქონლის შეძენის დამადასტურებელი ორიგინალი დოკუმენტაციის წარმოდგენით.

8. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებულ პოლიციის ატაშეებსა და მეკავშირე ოფიცრებს, ასევე მათი ოჯახის

თითოეულ წევრს აუნაზღაურდება:

ა) როტაციის წესით, როგორც სამუშაო მივლინების, აგრეთვე სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების გამო მივლინების შეწყვეტისას) ან სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვევის შემთხვევაში საქართველოსა და მივლინების ადგილს შორის მგზავრობის ხარჯები (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ასევე სამსახურებრივ ავტომანქანასთან დაკავშირებული ფასიანი გზებისა და პარკინგის ხარჯები);

ბ) ბარგის გადაზიდვის ხარჯები – ერთ პირზე არაუმეტეს 80 კგ-ის ოდენობით, საერთო ღირებულებით არაუმეტეს ეკონომკლასის ერთი სამგზავრო ავიაბილეთის (ერთი მიმართულებით) ღირებულების 100%-ისა, ხოლო ოჯახზე – არაუმეტეს 240 კგ-ისა, საერთო ღირებულებით არაუმეტეს ეკონომკლასის ერთი სამგზავრო ავიაბილეთის (ერთი მიმართულებით) ღირებულების 200%-ისა.

დანართი №56

სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცრის გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური დანამატის ნორმები

დასახელება	უცხოური ვალუტის დასახელება	ხარჯების დასახელება				
		ანაზღაურების ნორმები	სამედიცინო დაზღვევა	განთავსების ხარჯი	შენახვის ხარჯი	სულ
სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერი ნორთვუდის (დიდი ბრიტანეთი) საზღვაო ძალების გაერთიანე-ბული სარდლობის შტაბში	ფუნტი	1650	438	1500	262	3850

შენიშვნა:

გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ამ დანართით განსაზღვრული დანამატი ჩაირიცხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იმ საბანკო დაწესებულების ანგარიშზე, რომლის მონაცემებიც იქნება მიწოდებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის.

1. სამედიცინო დაზღვევის ხარჯები

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში სამედიცინო დაზღვევის ასანაზღაურებლად სავალდებულოა, სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერმა უზრუნველყოს სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ორიგინალი და ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებისა და დაზღვევის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითარი ან/და საბანკო ამონაწერი) ორიგინალის წარმოდგენა ყოველკვარტალურად. ზემოაღნიშნული ხარჯების ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ამ დანართით

გათვალისწინებული ოდენობისა.

2. განთავსების ხარჯები

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში განთავსების ხარჯის ანაზღაურებისათვის სავალდებულოა ბინის ქირავნობის დამადასტურებელი ორიგინალი და ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების წარმოდგენა და ბინის ქირის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთის (ქვითარი ან/და საბანკო ამონაწერი) წარმოდგენა ყოველკვარტალურად.

ზემოაღნიშნული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ამ დანართით გათვალისწინებული ოდენობისა. სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცრის ვადამდე გამოწვევის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადამდე გამოწვევასთან ერთად ხდება მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება/დათხოვნა პირადი განცხადების, დისციპლინური გადაცდომის ან შეუსაბამობის გამო) სასაზღვრო პოლიციის უფროსის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ბინის ქირავნობის ვადამდე შეწყვეტის გამო ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი ჯარიმის/საურავის (სხვა სახის პასუხისმგებლობის ზომა) ოდენობა და ამ თანხების გადახდის პირობები.

3. შენახვის ხარჯები

შენახვის ხარჯების ნორმა მოიცავს ოფისისათვის საჭირო ინვენტარისა და სხვადასხვა მოწყობილობის (საკომუნიკაციო საშუალებები) ექსპლუატაციის ხარჯებს.

4. მოკლევადიანი მივლინება

ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ მოკლევადიანი სამსახურებრივი მივლინების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. სათანადო ბრძანების გამოცემის შემთხვევაში სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერს აუნაზღაურდება მგზავრობისა (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი) და განთავსების ხარჯები. მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, ხოლო განთავსების – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კუთვნილი შვებულება

კუთვნილი შვებულებისას მგზავრობის ხარჯებს (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად) სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერსა და მისი ოჯახის წევრებს წელიწადში ერთხელ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აუნაზღაურებს მხოლოდ საქართველოს მიმართულებით და უკან, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

6. დამატებითი ხარჯი

ა) დასაბუთებული მოთხოვნების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შუამდგომლობით, სასაზღვრო პოლიციის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე:

ა.ა) ხორციელდება საოფისე ინვენტარის, ტექნიკური, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების და საბურავების შესაძენად, ასევე სატრანსპორტო საშუალებების დასაზღვევად დამატებითი თანხების გამოყოფა;

ა.ბ) აგრეთვე საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებაც;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახდელების დადასტურება ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული გადასახდელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით.

7. როტაცია

როტაციის წესით სამუშაო მივლინებისას სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე უნაზღაურდება პირველადი მოწყობის ხარჯები, რომელიც მოიცავს:

ა) ბინის დაქირავებამდე გასაწევ ხარჯებს (სასტუმრო და სხვა ხარჯები, არაუმეტეს 10 დღისა) – ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ბინის დაქირავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს:

ბ.ა) მაკლერის და სხვა შესაბამის ხარჯებს, რომელიც ანაზღაურდება გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ორიგინალების წარმოდგენის შემთხვევაში;

ბ.ბ) ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ბინის დეპოზიტის თანხას, რომლის გადახდისა და დამქირავებლისთვის უკან დაბრუნების პირობები გათვალისწინებულია ბინის ქირავნობის წარმოდგენილი ხელშეკრულებით;

გ) სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, როტაციასთან დაკავშირებული პირველადი მოწყობის ხარჯები (საოფისე ინვენტარისა და სხვა შესაბამისი ხარჯები) ანაზღაურდება სასაზღვრო პოლიციის მიერ წინასწარ, რომლის ანგარიშგებას სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერი ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის საჭირო საქონლის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ორიგინალის წარმოდგენით.

8. მივლინებული სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცრის, ასევე მისი ოჯახის თითოეული წევრის მგზავრობისა და ბარგის გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურება

მივლინებულ სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცერს, ასევე მისი ოჯახის თითოეულ წევრს აუნაზღაურდება:

ა) როგორც როტაციის წესით სამუშაო მივლინების, ასევე სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების გამო მივლინების შეწყვეტისას) ან სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვევის შემთხვევაში საქართველოსა და მივლინების ადგილს შორის მგზავრობის ხარჯები (ეკონომკლასის სამგზავრო ბილეთი ან საწვავის ხარჯი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ასევე სამსახურებრივ ავტომანქანასთან დაკავშირებული ფასიანი გზებისა და პარკინგის ხარჯები);

ბ) ბარგის გადაზიდვის ხარჯები – ერთ პირზე არაუმეტეს 80 კგ-ისა, საერთო ღირებულებით არაუმეტეს ეკონომკლასის ერთი სამგზავრო ავიაბილეთის (ერთი მიმართულებით) ღირებულების 100%-ისა, ხოლო ოჯახზე – არაუმეტეს 240 კგ-ისა, საერთო ღირებულებით არაუმეტეს ეკონომკლასის ერთი სამგზავრო ავიაბილეთის (ერთი მიმართულებით) ღირებულების 200%-ისა.

დანართი №57

სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სხვა დანამატები

1. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს, რომლებიც ქვედანაყოფებთან ერთად გასული არიან მუდმივი დისლოკაციის (დაბანაკების) პუნქტის გარეთ სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებში, ბანაკებში, პოლიგონებზე, სათადარიგო აეროდრომებზე, მანევრებსა და წვრთნებზე ამოცანათა დამუშავებისათვის, ახალი სპეციალური ტექნიკის შესწავლისა და ათვისებისათვის (მეცადინეობაზე გასვლის დღიდან მეცადინეობის დამთავრების დღის ჩათვლით) ყოველდღიური ანაზღაურების სახით ეძლევათ დანამატი თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ოდენობით.

2. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს (მრჩეველი) დაუწესდეს თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი 820 ლარის ოდენობით.

3. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტებს (ექიმი-თერაპევტი) და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონალური ქვედანაყოფების (სამმართველოები) წამყვან სპეციალისტებს (ექიმი, ექიმი-თერაპევტი და ექიმი-სტომატოლოგი)

დაუწესდეთ თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი 215 ლარის ოდენობით.

4. სასაზღვრო პოლიციის მფრინავებსა და მფრინავთა შემადგენლობას თანამდებობრივ სარგოზე ეძლევათ დანამატი შემდეგი ოდენობით:

თანამდებობა	**დანამატი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი (მფრინავი)	3750
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში (მფრინავი)	3500
ესკადრილიის მეთაური (მფრინავი)	2700
ესკადრილიის მეთაურის მოადგილე (მფრინავი-ინსტრუქტორი)	2500
განყოფილების უფროსი (მფრინავი)	2300
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საინჟინრო-საავიაციო დარგში (უფროსი ბორტინჟინერი)	2000
ქვეგანყოფილების უფროსი (მფრინავი)	1800
მთავარი სპეციალისტი (მფრინავი), მთავარი სპეციალისტი (მფრინავი-ნავიგატორი)	1625
წამყვანი სპეციალისტი (მფრინავი), ცენტრის უფროსი (ბორტინჟინერი)	1500
განყოფილების უფროსი (ბორტინჟინერი)	1100
განყოფილების უფროსის მოადგილე (ხარისხის მართვის ინჟინერი, ბორტინჟინერი)	1000
მთავარი სპეციალისტი (ბორტტექნიკოსი-ინსტრუქტორი), მთავარი სპეციალისტი (საფრენი აპარატების ექსპლუატაციის ინჟინერი, ბორტტექნიკოსი), მთავარი სპეციალისტი (ხარისხის მართვის ინსპექტორი, ბორტტექნიკოსი)	900
წამყვანი სპეციალისტი (ბორტტექნიკოსი), წამყვანი სპეციალისტი (ბორტმექანიკოსი-ოპერატორი)	850

5. სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს: საავიაციო და რადიო-ელექტრონული მოწყობილობების შემოწმების და შეკეთების განყოფილებისა და საფრენი აპარატების ტექნიკური ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომლებს დაუწესდეთ თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი შემდეგი ოდენობით:

თანამდებობა	დანამატი (ლარი)
განყოფილების უფროსი (უფროსი ინჟინერი)	365
მთავარი სპეციალისტი (ინჟინერი, უფროსი ტექნიკოსი)	490
წამყვანი სპეციალისტი (ექსპლუატაციის ტექნიკოსი, ტექნიკოსი)	455

6. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს სასაზღვრო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით ეძლევა შემდეგი დანამატი:

ა) სამაშველო-სამძებრო ოპერაციებში მონაწილეობისას ზღვაში ყოფნის ყოველი ერთი საათისათვის – 2 ლარი;

ბ) ზღვაში სასაზღვრო პოლიციური ოპერაციის ჩატარებისას ზღვაში ყოფნის ყოველი ერთი საათისათვის – 1 ლარი;

გ) საქართველოს საზღვაო სივრცეში პატრულირებისას ზღვაში ყოფნის ყოველი ერთი საათისათვის – 2 ლარი;

დ) პატრულირების შეზღუდული მზადყოფნის რეჟიმში ბაზაში დგომის ყოველი ერთი საათისათვის – 0.50 ლარი;

ე) ზღვაში ყოფნის ყველა სხვა შემთხვევაში (წვრთნები, მანევრები და სხვ.) ყოველი ერთი საათისათვის – 0.50 ლარი.

7. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს ყოველი ერთი საათის განმავლობაში წყალქვეშ შესრულებული სამუშაოსათვის ეძლევა დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) 10 მეტრ სიღრმემდე – 50 ლარი;

ბ) 10 მეტრზე და უფრო ღრმად – 100 ლარი.